ანგარიშია _ 7:0

“დინამო” (თბილისი) _ “ტორპედო” (სტალინგრადი). 7:0 (3:0).
თბილისი. ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონი. 7 აგვისტო.
მსაჯი: ა. ტაველსკი (კუიბიშევი).

თბილისელებმა მატჩი მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს. ამ დღეს “დინამოს” თავდასხმის ხუთეული მტკიცედ შეკრულ ანსამბლად გამოიყურებოდა, რომელიც სწრაფ და მოულოდნელ გარღვევებთან ერთად ლამაზ ტაქტიკურ კომბინაციებს ახორციელებდა.

სტუმრებმა ვერ შეძლეს მათი იერიშების ოდნავად მაინც განეიტრალება. სტალინგრადელთა შეტევები ძალზე ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, თუმცა დრო და დრო მარღანიასა და მცველებს ენერგიის დაძაბვა უხდებოდათ.

თბილისელებმა დიდი ანგარიშით მოიპოვეს გამარჯვება. ანგარიში ლამაზი კომბინაციის შედეგად გახსნა ვარდიმიადიმ 25-ე წუთზე თოდრიამ შორი მანძილიდან მოულოდნელი დარტყმით მეორე ბურთი გაიტანა. შესვენებამდე ღოღობერიძემ ერთი გოლით გაზარდა შედეგი.

მეორე ტაიმში ჯოჯუამ ძლიერი, ოსტატური დარტყმებით კიდევ ორი ბურთი მოათავსა სტუმართა ბადეში. შემდგომში ჯავახაძის (#8) მოხდენილი თავური გარტყმით და ღოღობერიძის საჯარიმო მოედანში შესვლით ანგარიში გახდა 7:0.

“ლელო”, 11 აგვისტო 1950 წ.